პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 9 ივლისი, 1942 წ. № 160 (6476). ფასი 15 კაპ.

ვისწავლოთ მტერზე გამარჯვება!

დადგა ზაფხულის ცხელი დღეები. გამოცოცხლდა საბჭოთა კავშირის ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებული ბრძოლის ფრონტი. ჰიტლერის სარდლობამ შეავსო შემოდგომისა და ზამთრის ბრძოლებში შებერტყილი არმია, მიუმატა მას ადამიანთა და მატერიალური რეზერვების განუსაზღვრელი ნაწილი, გაურია თავის ჯარებში ვასალური არმიების ჯარისკაცები — რუმინელები, უნგრელები, იტალიელები — და შეტევა დაიწყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მთელ რიგ უბნებზე.

მტერმა შეტევითი მოქმედება დაიწყო კურსკ-ბელგოროდ-ხარკოვის რაიონებიდან. მან დიდძალი სატანკო ჯარები, მოტოქვეითი ჯარი და ავიაცია გამოიყვანა ბრძოლის ველზე და ზოგიერთ ადგილას მოახერხა გაერღვია ჩვენი თავდაცვა და ადგილი გამოენაცვლებინებინა წითელი არმიის ნაწილებისათვის აღმოსავლეთისაკენ. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ვორონეჟის დასავლეთით და სტარი ოსკოლის სამხრეთ-დასავლეთით. ჩვენი ჯარები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ რიგი დასახლებული პუნქტები.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი გააფთრებით ისწრაფვიან წინ, ცდილობენ ოპერატიული სივრცე მიიღონ მანევრისათვის. ჰიტლერელებმა თავიანთ პროპაგანდაში გაზვიადეს ფრონტზე მიღწეული წარმატებანი და იმედოვნებენ შეტევითი მხნეობა შეჰმატონ თავიანთ არმიას და განამტკიცონ შერყეული რწმენა ჰიტლერისა და ფაშისტთა სარდლობისადმი.

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა შეტევითი ბრძოლები, მათი გააფთრების მიუხედავად, ცხადჰყოფენ, რომ გერმანიის 1942 წლის არმია ის არმია აღარ არის, რაც ომის დასაწყისში იყო. ჰიტლერელთა ყაზაღურ ხროვას აღარ მოეპოვება შეტევის ის ტემპები და აღარც ის ამპარტავნობა შერჩენია, რომლითაც იგი წინათ გამოირჩეოდა.

მტერმა მოახერხა დიდი ძალების თავმოყრა შეტევისათვის. მაგრამ მან ვერ მოახერხა გაეტეხა შეუპოვრობა ჩვენი ჯარებისა, რომელნიც დიდ ზარალს აყენებენ დამპყრობთა ტექნიკასა და ცოცხალ ძალას.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი წლის განმავლობაში იყო და ახლაც რჩება ჰიტლერულ ტირანიისთან შეიარაღებული ბრძოლის მთავარ ფრონტად. ჩვენი ჯარების წარმატებებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — ჰიტლერულ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვება.

საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგი სტალინი სწერდა: „ჩვენ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ვაწარმოებთ. ჩვენ ისეთი მიზნები როდი გვაქვს, რომ სხვისი ქვეყნები ჩავიგდოთ ხელში, სხვა ხალხები დავიპყროთ. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილია. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ძმები — უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები იმ სირცხვილისა და დამცირებისაგან, რასაც მათ აყენებენ გერმანელი ფაშისტი არამზადები. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ უნდა დავამარცხოთ გერმანელ ფაშისტთა არმია და გავჟლიტოთ გერმანელი ოკუპანტები უკანასკნელ კაცამდე, რამდენადაც ისინი ტყვედ არ დაგვნებდებიან. სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს".

წითელი არმიის წინაშე დგას ძირითადი და მთავარი ამოცანა — მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ წითელ არმიას ყველაფერი მოეპოვება, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განახორციელოს ეს ისტორიული ამოცანა. მან გვიჩვენა ამ ამოცანის გადაწყვეტის გზები და მთავარი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ წითელ არმიას საკმაოდ არ შესწევს ცოდნა მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს. აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული, გადაუდებელი ამოცანა — ისწავლოს სამხედრო საქმე, ისწავლოს მტრის უეჭველი განადგურება.

ამხანაგი სტალინი სწერდა: „წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვევეთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და ამრიგად ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება".

ომის ერთი წლის განმავლობაში წითელმა არმიამ დიდი გამოცდილება დაიგროვა, კიდევ უფრო მეტად გამოიწრთო, შეივსო ახალი ძალებით, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვა საბრძოლო პოლკები, შესაიარაღებლად მიიღო წინანდელზე გაცილებით მეტი ავტომატები, ნაღმსატყორცნები, ქვემეხები, ტანკები და თვითმფრინავები.

ტექნიკური შეჭურვილობით წითელი არმია გაცილებით უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. მუშათა კლასის გმირული შრომით ჩვენი მრეწველობა გარდაქმნილია საომარ ყაიდაზე. ამუშავებულია ახლად აგებული სამხედრო ქარხნები, აღდგენილია ახალ ადგილებზე ძველი ქარხნები, მრავალი საწარმოს მუშაობა გადაყვანილია სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე. ჩვენ თვე და თვე უფრო და უფრო მეტი ტექნიკა და საჭურველი მოგვდის ინგლისიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ჩვენი არმია ტექნიკურად უფრო შეიარაღებული, უფრო მცოდნე გახდა. მაგრამ წითელი არმიის ტექნიკური შეჭურვილობა, რაც უნდა ხელსაყრელი იყოს იგი, თავის თავად ჯერ კიდევ არ იძლევა უპირატესობას ისეთი ვერაგი, ჯერ კიდევ დიდი ძალის მქონე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის გერმანელ ფაშისტთა არმია. ასეთ მტერზე გამარჯვებისათვის საჭიროა მეომრები, რომელნიც ზედმიწევნით არიან დაუფლებულნი ამ ტექნიკას, რომელთაც შეუძლიათ მთლიანად გამოიყენონ იგი.

ჩვენ ახლა უფრო მეტი პირველხარისხოვანი საბრძოლო თვითმფრინავები გვაქვს. ჩვენ კიდევ უფრო მეტი ისეთი მფრინავი გვესაჭიროება, რომელთაც შეეძლებათ მარჯვედ ჩასცენ მტერს სასიკვდილო ლახვარი ჰაერში და ხმელეთზე.

ჩვენ ახლა უფრო მეტი პირველხარისხოვანი ტანკები გვაქვს. ჩვენ გვესაჭიროება კიდევ უფრო მეტი ისეთი ტანკისტები, რომელთაც შესწევთ უნარი ამსხვრიონ მტრის ტანკები და არტილერია, მოსპონ და სრისონ მტრის მეავტომატეები და ქვეითი ჯარი.

ჩვენ ახლა უფრო მეტი ნაღმსატყორცნები გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია ფრონტის ცალკეულ უბნებზე სიტყვასიტყვით ვაყაროთ ნაღმები მტერს. ჩვენ გვესაჭიროება კარგი ნაღმტყორცნელები, რომელთაც შეეძლებათ თავს დაატეხონ დამპყრობთ ეს მარტივი, მაგრამ თავისი ცეცხლით მეტად ძლიერი ტექნიკა.

ჩვენ ახლა უფრო მეტი ავტომატები გვაქვს. ჩვენ ძალგვიძს ჩავახრჩოთ მტერი ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის ნიაღვარში. ჩვენ უფრო მეტი დახელოვნებული მეავტომატე გვესაჭიროება, რომელთაც შეეძლებათ თავიანთი საუცხოო იარაღით მარჯვედ და დაუნდობლად ჟლიტონ ფაშისტი არამზადები.

ჩვენ ახლა უფრო მეტი ტანკსაწინააღმდეგო თოფები გვაქვს, რომელთაც შეუძლიათ დაცხრილონ მტრის მანქანების ჯავშანი, ცეცხლი წაუკიდონ მათ და მწყობრიდან გამოიყვანონ ეკიპაჟები. ჩვენ გვესაჭიროება უფრო მეტი მამაცი ჯავშანმტვრეველნი, მტრის ტანკისტებისათვის ცეცხლის მარჯვე დამშენის ოსტატები, რომელთაც არტილერისტებთან და ნაღმტყორცნელებთან ერთად შეეძლებათ შეჰქმნან ცეცხლის ფარდა მტრის ტანკების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე.

ჩვენ გვესაჭიროება მარჯვე არტილერისტთა მომზადებული რეზერვები, რომელნიც თავზარს დასცემენ მტერს გამანადგურებელი ცეცხლით.

ჩვენ გვესაჭიროება გულადი, ამტანი ქვეითნი, სნაიპერები, რომელთაც შეეძლებათ აიტანონ ბრძოლის მთავარი სიმძიმე და განამტკიცონ შეტევითი ბრძოლების წარმატებანი.

ჩვენ გვესაჭიროება მამაცი კავალერისტები, მესანგრეები, მეკავშირეები და სხვა სპეციალისტები, რომელნიც საბრძოლო მოქმედების წარმატებას უზრუნველჰყოფენ.

საერთოდ იმისათვის, რომ სინამდვილედ ვაქციოთ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების ის შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, და იმისათვის, რომ გავანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა არმია, საჭიროა კიდევ უფრო დავაჩქაროთ სწავლების ტემპები, უფრო სწრაფად დავეუფლოთ ტექნიკას, ავამაღლოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა, საბოლოოდ აღმოვფხვრათ უდარდელობის, დამშვიდებულობისა და უზრუნველობის ელემენტები.

პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც სამშობლო აძლევს საბჭოთა მეომრებს, წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა მეომრულ ოსტატობასთან ერთად, საბჭოთა მეომრების მზადყოფნა — მთელი თავიანთი ძალ-ღონე და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შესწირონ მტერზე გამარჯვების საქმეს; მთელი საბჭოთა ხალხის მზადყოფნა — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას თავისი სამშობლო, რომელსაც სერიოზული საფრთხე დასტრიალებს თავს, — ყოველივე ეს უზრუნველჰყოფს გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა განადგურებას.

„პრავდის" მოწინავე, 8/VII.

პიკირების დროს ჩამოგდებულ იქნა „იუნკერს-88"

დასავლეთის ფრონტი, 7 ივლისი. (საკ. დესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელთა ბომბდამშენი „ი-88", რომელსაც მოტორი გამორთული ჰქონდა, ღრუბლებიდან გამოცურდა და პიკირება დაიწყო ბატარეის თავზე. მეზენიტეებმა მაშინვე მომარჯვეს იარაღი და პირველივე ჩასროლებით ჩამოაგდეს თვითმფრინავი. ერთი მფრინავი მოკლულ იქნა ორი კი ტყვედ წამოიყვანეს.

მზვერავები საკადრისად დაისაჯნენ

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 7 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ ლეიტენანტმა ოლშაკოვმა შეამჩნია, რომ მდინარის მეორე ნაპირზე ჰიტლერელები ბილწავდნენ წითელარმიელთა გვამებს. ფაშისტები ფეხებით სთელავდნენ გვამებს, ხიშტებით სჩხვლეტდნენ მათ. მებრძოლებმა გადასწყვიტეს შური ეძიათ ფაშისტებზე ამ შებილწვისათვის. ლეიტენანტმა ოლშაკოვმა თან წაიყვანა ზემდეგი მირონოვი და უფროსი სერჟანტი დანილენკო, ისინი გადავიდნენ მეორე ნაპირას, მიეპარნენ ფაშისტთა ჯგუფს და გრანატებით დახოცეს 10 ჰიტლერელი.

ლ. როზოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 ივლისის დილის ცნობა

7 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ვორონეჟის დასავლეთით და სტარი ოსკოლის სამხრეთ-დასავლეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ვორონეჟის დასავლეთით გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა დიდი ძალები ცდილობდნენ დაეკავებინათ მაღლობი, რომელსაც ჩვენი სატანკო ქვეგანაყოფი იცავდა. ტანკისტები მედგრად დაუხვდნენ შემოტევას. უფროს ლეიტენანტ სალიუკოვის ეკიპაჟმა რამდენიმე გასროლით დააზიანა გერმანელთა ტანკი და მოსპო ორი მძიმე ქვემეხი. ტანკის ეკიპაჟმა ლეიტენანტ ბაკლოგოვის, მეკოშკურ მსროლელ ტრუშჩაკის და მექანიკოს-წამყვან უფროს სერჟანტ მედვედევის შემადგენლობით 4 ქვემეხი მოსპო და 50 ჰიტლერელი გასწყვიტა. მაღლობისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგემ ასობით ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ფრონტის უბანზე სტარი ოსკოლის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგე არ ერიდება უდიდეს ზარალს, წინ მოისწრაფვის და ახალ-ახალი რეზერვები გამოჰყავს ბრძოლაში. ერთ პუნქტში გერმანელთა 30 ტანკი და ერთ პოლკზე მეტი ქვეითი ჯარი ავიაციის დახმარებით იერიშზე გადმოვიდა. ჩვენი არტილერისტები მასირებული ცეცხლით დაუხვდნენ ჰიტლერელებს და გერმანელთა 12 ტანკი მოსპეს. საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი მძიმე ტანკები და ქვეითები. მტერი კონტრდარტყმით უკუქცეულ იქნა თავდაპირველ პოზიციებზე. ბრძოლის ველზე მტერს 700-ზე მეტი მოკლული დარჩა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილმა მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების ზეგავლენით ახალ ზღუდეებზე გადმოინაცვლა. ბრძოლის დროს დაზიანებულია გერმანელთა 9 ტანკი და მოსპობილია 400-მდე ჰიტლერელი.

* * *

მტრის ორი ასეული გარს შემოერტყა უმცროს ლეიტენანტ ტრაპეზნიკოვის ოცეულს. ჩვენი მებრძოლნი ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ერთსულოვანი ცეცხლით დაუხვდნენ იერიშზე გადმოსულ ჰიტლერელებს. გერმანელებმა 100 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

* * *

ქვემეხის მეთაურმა ამხ. შეხტერმა ახლო მოუშვა შეტევაზე გადმოსული გერმანელთა ქვეითი ჯარი, პირდაპირი დამიზნებით დაუშინა და 50 ჯარისკაცი და ოფიცერი მოუკლა მტერს. ამხ. შეხტერი, რომელიც ორჯერ დაიჭრა, სროლას განაგრძობდა მანამდე, სანამ მტრის იერიში არ იქნა მოგერიებული.

* * *

წითელარმიელმა ამხ. სუხოვმა შაშხანის მარჯვე სროლით მოსპო გერმანელთა ტყვიამფრქვევის გუნდი. ამხ. სუხოვმა ხელთ იგდო ტყვიამფრქვევი, დაუშინა იგი მტერს და კიდევ 15 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

* * *

სმოლენსკელ პარტიზანთა რაზმმა ამხ. ან- მეთაურობით თავისი საბრძოლო მოქმედების განმავლობაში 560 გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი გასწყვიტა. გარდა ამისა, პარტიზანებმა 450 ჰიტლერელი გაჟლიტეს წითელი არმიის ნაწილებთან თანამოქმედებით. საბჭოთა პატრიოტებმა მოაწყეს მტრის 5 სამხედრო ეშელონის მარცხი, ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, მოსპეს 80 კილომეტრი სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზი.

* * *

ქვემოთ ვაქვეყნებთ მოკლულ გერმანელ ობერ-ლეიტენანტ ჰოლცის დღიურის ნაწყვეტებს:

„1942 წლის 11 იანვარი. დანიიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გავემგზავრეთ.

22 იანვარი. ჩვენი 323-ე ქვეითი პოლკი ველიკიე ლუკში გადმოსხდა და ბრძოლაში ჩაება.

16 თებერვალი. ჩვენ 750 კაცი დავკარგეთ მარტო მოკლულთა სახით.

20 თებერვალი. მეორე ბატალიონი მოწყვეტილია. მე-10 ასეულმა პირადი შემადგენლობის 50 პროცენტი დაჰკარგა.

23 თებერვალი. ბატალიონი განადგურებულია. ბევრი ამხანაგი დაიღუპა. გადარჩნენ მხოლოდ პოლკოვნიკი მოტცი, ლეიტენანტი ლიუტცე და 85 რიგითი ჯარისკაცი. ყველა ჩვენგანს ცრემლი ადგია თვალებზე. 323-ე ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაური გრაფი კაიზერლინი მოკლულია. მე-14 ასეულის მეთაური მიულერი მოკლულია. მოკლულია 396 კაცი, ხოლო უკვალოდ დაკარგულებთან ერთად მთელი დანაკლისი 600-ს აღემატება.

6 მარტი. შეტევა ჩაიშალა. რუსები მამაცურად იბრძოდნენ და წარმატება მოიპოვეს.

10 მაისი. რუსებმა რკინიგზის ხიდი ააფეთქეს. ჯავშნიანი მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა.

20 ივნისი. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს დასაყრდენ პუნქტზე. ჩვენ 60 კაცი მოგვიკლეს".

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები საშინლად აწიოკებენ ქალ. ვიტებსკის მშვიდობიან მცხოვრებთ. ქალაქში ყოველდღე ათობით ადამიანი იხოცება შიმშილით. 23 ივნისს საოკუპაციო ხელისუფლებამ 17 კაცი ჩამოახრჩო, მათ შორის 4 ქალი, იმიტომ, რომ მათ სცადეს ნებართვის უქონლად გასულიყვნენ ქალაქიდან სოფელში კარტოფილის საშოვნელად. ამას წინათ ვიტებსკში გერმანელი ოფიცერი მოჰკლეს. ჰიტლერელებმა მასობრივი ჭერა მოაწყეს და ქალაქის 100 მცხოვრები დახვრიტეს.

* * *

აღმოსავლეთ ბოსნიაში (იუგოსლავია) პარტიზანები წარმატებით ოპერაციებს განაგრძობენ გერმანელ-იტალიელ დამპყრობთა წინააღმდეგ. პარტიზანებმა ჟანდარმერიის დიდი რაზმები გაანადგურეს. სერიოზული მარცხი განიცადა იტალიელთა ორმა ალპურმა დივიზიამაც, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ივნისის განმავლობაში ოკუპანტების ამ დივიზიებმა 1.800 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

8 ივლისის საღამოს ცნობა

8 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ სასტიკ ბრძოლებს ვორონეჟის დასავლეთით. მედგარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქ. სტარი ოსკოლი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბარენცის ზღვაში ერთ-ერთმა ჩვენმა წყალქვეშა ნავმა იერიში მიიტანა გერმანიის უახლეს სახაზო გემ „ტირპიცზე", ორი ტორპედო მოახვედრა მას და სერიოზულად დააზიანა სახაზო გემი.

* * *

7 ივლისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 50-ზე მეტი ტანკი, 90 ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 125 საზიდარი საომარ მასალიანად, 28 ავტოცისტერნი საწვავით, ჩააჩუმეს საველე არტილერიის 2 დივიზიონის და საზენიტო არტილერიის 6 ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს 1 საწყობი საწვავიანად და 2 საწყობი საომარ მასალიანად, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის 4 ასეულამდე ქვეითი ჯარი. ბარენცის ზღვაში ჩაძირულ იქნა გერმანელთა ტრანსპორტი და ფინეთის ყურეში დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი.

* * *

ვორონეჟის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა იერიშზე გამოიყვანეს 100-ზე მეტი ტანკი. გაჩაღდა სატანკო ბრძოლა, რომლის შედეგადაც მოსპობილია გერმანელთა 40 ტანკი.

ჩვენი მებრძოლები და მეთაურები მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში სიმტკიცისა და გმირობის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ. წითელარმიელი ამხ. ვეგაევი მოწინააღმდეგის სანგარში შეიჭრა და ხელის გრანატით დახოცა 4 ჯარისკაცი. გერმანელი ოფიცერი შეეცადა მოეკლა მებრძოლი, მაგრამ ვეგაევმა ხიშტის სწრაფი დარტყმით განგმირა ჰიტლერელი. წითელარმიელმა ამხ. ბოლშაკოვმა გრანატით მოსპო დაზგის ტყვიამფრქვევი, მოჰკლა მეტყვიამფრქვევე და ოფიცერი. ხიშტით ბრძოლაში ამხ. ბოლშაკოვმა მწყობრიდან გამოიყვანა 17 ჰიტლერელი. ერთ-ერთ ჩვენს ქვემეხს გერმანელთა რამდენიმე ტანკი უახლოვდებოდა. მემიზნე ამხ. ფაუსტოვმა ახლოს მოუშვა მოწინააღმდეგე და გერმანელთა 2 ტანკი დააზიანა. გერმანელები 6-ჯერ შეეცადნენ განედევნათ სანგრებიდან ოცეული, რომელსაც ამხ. ვორობიოვი მეთაურობს. მამაცი მებრძოლებს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. სანგრების მისადგომებზე გერმანელებმა 200-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

* * *

ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. კოტირლო (კალინინის ფრონტი), მოწინააღმდეგესთან 3 დღის ბრძოლებში მოსპო გერმანელთა 15 ტანკი, 20 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მოწინააღმდეგესთან წარმოებულ საჰაერო ბრძოლებში გამანადგურებელმა ავიანაწილმა, რომელსაც მაიორი ოსმაკოვი მეთაურობს (კალინინის ფრონტი), 4 დღის განმავლობაში ჩამოაგდო 16 „იუნკერსი", 4 „მესერშმიტ-109" და 5 „მესერშმიტ-109-ფ".

* * *

სნაიპერმა თევდორე ჩეგოდაევმა სამამულო ომის განმავლობაში 240 ჰიტლერელი დახოცა. მან ზიმარჯვე სროლის ოსტატობა შეასწავლა 24 წითელარმიელს, რომლებმაც ამხ. ჩეგოდაევის ხელმძღვანელობით 180 გერმანელი ოკუპანტი გასწყვიტეს.

* * *

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედმა პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადასჩეხეს მატარებელი გერმანიის ქვეით ჯარიანად და ეშელონი ავტომანქანებიანად. საბჭოთა პატრიოტებმა 2 კილომეტრ მანძილზე დაანგრიეს ტელეფონ-ტელეგრაფის ქსელი და დახოცეს 40 ოკუპანტი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონის მარცხი მოაწყეს (აიმსხვრა 38 ვაგონი). ამავე რაზმების პარტიზანებმა მოსპეს მოწინააღმდეგის შტაბის 3 ავტომანქანა. მოკლულია 9 გერმანელი ოფიცერი და ერთი გენერალი, რომელიც მკერდის ორი ნიშნითა და რკინის ჯვრით იყო დაჯილდოებული.

* * *

რუმინეთის მე-10 ქვეითი დივიზიის 33-ე პოლკის მე-7 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა იონ სამოილამ განაცხადა: „მას შემდეგ, რაც გერმანელები რუმინეთში მოვიდნენ, რუმინეთი აღარ არის დამოუკიდებელი ქვეყანა. გერმანელებმა ქალაქები გაძარცვეს, სოფლები აიკლეს, ყოველივე, რაც კი ძვირფასია, გერმანიაში გაიქვეს. რუმინელ გლეხებს მძიმე ზამთარი მოელით. ფრონტისაკენ რომ მოვდიოდი, გზაში ვხედავდი დაუთესავ სახნავ მიწის უზარმაზარ ფართობებს. სიმინდის ნათესებს შამბნარი მოედო. არმიაში დეზერტირობა არა სწყდება იმის მიუხედავად, რომ სამხედრო-სასამართლო ხელისუფალნი უაღრესად მკაცრ ზომებს იღებენ. ჩემი ასეულიდან ერთი თვის განმავლობაში 30-ზე მეტი ჯარისკაცი გაიქცა".

* * *

მებრძოლთა ჯგუფმა შეადგინა აქტი ჰიტლერელი არამზადების საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ. აქტში ნათქვამია: „გერმანელებისათვის წართმეულ ბლინდაჟებთან წამებით მოკლული 18 მეთაურისა და წითელარმიელის გვამები აღმოჩნდა. მებრძოლებს ხელები გადამტვრეული და ფეხები ნაღრძობი აქვთ. ერთ გვამს დამწვრობის მრავალი კვალი აჩნევია". აქტს ხელი მოაწერეს უმცროსმა პოლიტხელმა გალლეიმ, სამხედრო ფერშალმა აკჩურინამ, წითელარმიელებმა—დენისოვმა, მირონოვმა და პლასტინინმა.

* * *

ფრანგი ხალხის გამცემლები მლიქვნელობენ თავიანთი ბერლინელი ბატონ-პატრონების წინაშე. ქ. ბეზიეში (საფრანგეთი) პოლიციამ აღმოაჩინა არალეგალური სტამბა, რომელიც ანტიგერმანულ პროკლამაციებს ბეჭდავდა. ამ სტამბის ორგანიზატორი 12 ახალგაზრდა ფრანგი სიკვდილით დასაჯეს. ამის მიუხედავად, პროკლამაციები კვლავ ფართოდ ვრცელდება არა მარტო ბეზიეში, არამედ სხვა ქალაქებშიც.

* * *

პოლონელი პატრიოტების პარტიზანულმა რაზმმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის წლისთავის დღეს კრაკოვ-ლვოვის ხაზზე ოკუპანტების მატარებელი ლიანდაგიდან გადაჩეხა. მატარებლის დამსხვრევისა და ააფეთქების შედეგად მატარებელთა მიმოსვლა ერთი დღე-ღამით შესწყდა.

ბრძოლები ვორონეჟის დასავლეთით

მოქმედი არმია, 8 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ვორონეჟის დასავლეთით გააფთრებული ბრძოლებია.

ჰიტლერელები ჩვენი ნაწილების მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

№ საავიაციო ქვეგანაყოფმა აღმოაჩინა მდინარეზე გადმოსასვლელი, რომელსაც გერმანელები აგებდნენ. ჩვენმა თვითმფრინავებმა მტრის ავიაციის წინააღმდეგობა სძლიეს, ბომბების ტვირთი დაატეხეს თავს პონტონებსა და ფაშისტთა ქვეითს ჯარს, მოსპეს გადმოსასვლელი და ასობით ჰიტლერელი დახოცეს. გუშინ განთიადზე მტერმა შეტევა განაახლა. ერთ-ერთ უბანზე ფაშისტებმა გააფთრებულ იერიშზე გამოუშვეს 100-ზე მეტი ტანკი. მტრის მანქანები და მოტოქვეითი ჯარი ორ ეშელონად უტევდნენ. მათ მოქმედებას „იუნკერსები" და „მესერშმიტები" იცავდნენ. ფაშისტთა ტანკებთან და მოტოქვეით ჯართან ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა ტანკისტები და ავიაცია. დაიწყო დიდი სატანკო ბრძოლა. გერმანელებს მნიშვნელოვანი ზარალი მოსდით. მწყობრიდან გამოყვანილია გერმანელთა ტანკების დაახლოებით ნახევარი. საჰაერო ბრძოლებში და საბჭოთა ქვეითი ჯარის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის ათობით თვითმფრინავი.

ფრონტის სხვა უბანზე ზრდადი დაძაბულობით ჩაღდება სისხლისმღვრელი ბრძოლები. ჩვენი ნაწილები აკავებენ გერმანელებს, რომლებიც წინ მოისწრაფვიან. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მტრის სატანკო ჯგუფებმა მოახერხეს დაეკავებინათ ორი დასახლებული პუნქტი. დაღამებისას საბჭოთა ჯარის ნაწილებმა მოულოდნელად მიიტანეს კონტრიერიში ფაშისტებზე და გარეკეს ისინი მათ მიერ დაკავებულ პუნქტებიდან. ბრძოლები განსაკუთრებით დაძაბული ხასიათისაა. დასაყრდენი ზღუდეები რამდენჯერმე გადადის ხელიდან ხელში.

მამაცურად იბრძვიან ტანკისტები. ტანკისტებთან ერთად წარმატებით იგერიებენ გერმანელთა შეტევას არტილერისტები. დღეს № ნაწილმა წარმატებით მოიგერია გერმანელთა კიდევ ერთი იერიში. ჩვენი ტანკები უეცარი თავდასხმით გარსშემოერტყნენ მტრის ბატალიონს, რომელმაც თავდაცვის ხაზი გაარღვია, და მოსპეს იგი. ფრონტის ამ შედარებით მცირე უბანზე მარტო ორი დღის განმავლობაში, არასრული ცნობებით, მოსპობილია მოწინააღმდეგის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, ათობით ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და მრავალი ტანკი.

გააფთრებული ბრძოლები გრძელდება.

ვ. კრილოვი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება



სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს კომპლექსური ბრიგადის მოწინავე ადამიანების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) ზეითა რიგში: გ. ზანგურაშვილი (კომპლექსის ხელმძღვანელი), გ. კარპუხოვი, ი. მამულაშვილი, ქ. ზიბროვი, გ. ოსიპოვი, ქვეითა რიგში: შ. კაპანაძე, ა. სტეფანოვი, ვ. მელიქოვი, ი. დაუთაშვილი, ნ. მაისურაძე.

ამხ. გ. ზანგურაშვილის მოწინავე კომპლექსური ბრიგადა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში თავისი ენერგიული მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევა ამწყობი საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. გიორგი ზანგურაშვილი ხელმძღვანელობს. ეს კომპლექსი ივნისში გამარჯვებული გამოვიდა საქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გეგმის გადამეტებით ბრიგადამ 1 ორთქლმავალი ჩააბარა. როგორ მიაღწია ბრიგადამ ამ გამარჯვებას?

მთავარი იყო სამუშაო ადგილის მოწყობა და მუშა-ხელის ისე განაწილება, რომ მოცემული პროგრამა გადამეტებით შეესრულებინათ. ამისათვის მათ ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს. ოსტატები ამხ. პ. ფრანგიშვილი, ი. მამულაშვილი, ვ. მაჩურაშვილი, ვ. საჩკოვი და სხვ. წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები გახდნენ და ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ შეკეთების ყველა პროცესს.

ორთქლმავლის შეკეთების გრაფიკის დაცვაში მთავარია საქვაბე საამქროდან შეკეთებული საორთქლმავლო ქვაბის დროზე დაბრუნება. ბრიგადამ ეს გაითვალისწინა და ორთქლმავლების დაშლას და ქვაბების გადაცემას ისე აწარმოებდა, რომ საქვაბე საამქროს კომპლექსურ ბრიგადას საშუალება ჰქონდა თანმიმდევრობით და გრაფიკით ეწარმოებინა შეკეთება. მექვაბეები კარგად მუშაობდნენ და თავის დროზე აბრუნებდნენ შეკეთებულ ქვაბებს.

სტახანოვური ტემპები გვიჩვენა მეკვეთარეზე მომუშავე ამხ. შ. კაპანაძის ბრიგადამ, რომელიც შეკეთებას გრაფიკით აწარმოებდა. გრაფიკის დაცვით მუშაობდნენ: კულისებზე—კომუნისტ ამხ. ა. ინაურის ბრიგადა, რეილებზე — ქ. მაისურაძის, ცილინდრებზე—ვ. მოროზოვის, ბუქსებზე — კომუნისტების ამხ. ქ. გეჯაძის, ოსიპოვის და სხვ. ბრიგადები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსის გარეშე მომუშავე ბრიგადების დახმარება. თავდადებულად მუშაობდნენ მედალოსანი ამხ. ს. ამიროვი, ინჟექტორებზე მომუშავე ბლ. ორლოვი, დგუშების შემკეთებელი ამხ. გ. მნაცაკანოვი, ტ. ამირახაშვილი, ქ. ცაგურიშვილი, ნ. ლომიძე და სხვ.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი სტახანოველები გამოავლინა. ზეინკალი ნ. ხუთისიაშვილი, რომელიც დგუშებზე მუშაობს, ყოველდღიურად ორ-სამ ნორმას იძლევა. ბრიგადირი ამხ. ა. ახობაძე ზრდის ახალგაზრდა კადრებს. საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოწაფე ვ. სურმავა პრაქტიკაზე ამხ. ახობაძესთან მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ სურმავას ჯერ სწავლა დამთავრებული არა აქვს, მან კარგად აითვისა ხელობა და უკვე დამოუკიდებლად იწყებს მუშაობას. კომპლექსურმა ბრიგადამ შესაფერის უბნებზე გამოიყენა საამქროში ახალმოსული ამხ. ს. ჯატიაშვილი, ა. მღვდელაძე, ი. დათუნაშვილი, ვ. კანკავა, ი. ახალკაციშვილი. ეს ამხანაგები დღეს უკვე კვალიფიციურ მუშებად ითვლებიან და ბრიგადებში დამოუკიდებლად მუშაობენ.

კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელობამ ივნისის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში ფართოდ გამოიყენა ურთიერთ დახმარება და ბუქსირი. მაგალითად, რეილებზე მომუშავე ამხ. ქ. მაისურაძის ბრიგადამ, თავის უბანზე მუშაობა რომ დაამთავრა, დახმარება გაუწია ამხ. დაუთაშვილის ბრიგადას, რომელსაც ჩამორჩენა ჰქონდა და წინ წამოსწია.

ორთქლმავლის შეკეთებისა და დროულად ჩაბარების ერთ-ერთი პირობაა საამქროში მოთავსდეს ყველა ის სამუშაო, რომელსაც შეკეთების გრაფიკი ითვალისწინებს. ამას მიაღწია კომპლექსურმა ბრიგადამ, და სწორედ ამით აიხსნება, რომ საწინდე გადარბენიდან დაბრუნებულ ორთქლმავლებზე 2-3 პუნქტი თუ მოითხოვდა განმეორებითს შეკეთებას.

კომპლექსურმა ბრიგადამ ივლისში უფრო მაღალი ტემპებით დაიწყო მუშაობა. 5 ივლისამდე ბრიგადამ ჩააბარა 1 ორთქლმავალი, გეგმით გათვალისწინებული დანარჩენი ორთქლმავლების შეკეთებაზე კი ამჟამად სტახანოვური მუშაობა მიმდინარეობს.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ამწყობი საამქროს კომპლექსური ბრიგადა წარმატებით იბრძვის პირველობის შენარჩუნებისათვის. — მეტი და მაღალხარისხოვანი შეკეთებული ორთქლმავალი ზურგსა და ფრონტს ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის — ამ ლოზუნგით მუშაობს ამხ. ზანგურაშვილის ბრიგადა.

ი. სოფრომაძე

ორი ქარხნის სპეცსაამქროების სოციალისტური შეჯიბრება

რამდენიმე დღის წინათ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სპეცსაამქრომ მოწოდებით მიმართა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სპეცსაამქროს მუშათა კოლექტივს—მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მიზნით დაედოთ ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სპეცსაამქროს მუშებმა მოიწონეს ავტოსარემონტო ქარხნის ეს ინიციატივა.

7 ივლისს, მუშაობის შემდეგ, ავტოსარემონტო ქარხნის სპეცსაამქროს მოწინავე მუშების დელეგაცია ეწვია სტალინის სახელობის ქარხნის სპეცსაამქროს. ამ ორი საამქროს მუშაკთა შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლოლაძე, რომელმაც სტუმრებს უამბო თავიანთი ქარხნის სპეცსაამქროს მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ საამქრო გეგმებს სისტემატურად საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს. საამქროს ჰყავს მრავალი კვალიფიციური მუშა, რომლებიც დღეში 3-4 ნორმას აჭარბებენ.

ავტოსარემონტო ქარხნიდან სიტყვით გამოვიდა სპეცსაამქროს ოსტატი ამხ კორკუსოვი. მან აღნიშნა, რომ სოცშეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც ამ ორ საამქროს შორის დაიდება, ძალაში იქნება ჰიტლერელი ბანდიტების სრულ განადგურებამდე. ეს შეჯიბრება ამ ორ საამქროში კიდევ ახალ საწარმოო აღმავლობას გამოიწვევს. ამხ. კორკუსოვი შეჩერდა თავისი საამქროს მუშაობაზე და განაცხადა, რომ საამქრო, სადაც რამდენიმე ბრიგადა და ათასიანი სტახანოველები მუშაობენ, ყოველთვიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. საამქროში ფრიალებს საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა, რომლის შენარჩუნებისათვის მონდომებით იბრძვის მთელი საამქროს კოლექტივი.

სტალინის სახელობის ქარხნიდან სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე სპეცსაამქროს სტახანოველი მედალოსანი ს. ბაზაევი, ზეინკალი შ. ჯლანტიაშვილი; ავტოსარემონტო ქარხნიდან სიტყვით გამოვიდა სპეცსაამქროს მოწინავე ხარატი ტ. დუდნიკოვი.

ორივე მხარემ ერთხმად მოიწონა და ხელი მოაწერა სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას, სადაც ნათქვამია, რომ აღნიშნული საამქროები სამამულო ომის დამთავრებამდე ყოველთვიურ სახელმწიფო დავალებას 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებენ, შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 5 პროცენტით, მოკლე დროში მოამზადებენ თითოეულ საამქროში 10-მდე კვალიფიციურ ოსტატს, მოსპობენ წუნს, ადგილობრივი მიზეზით არცერთ წუთს უსაქმოდ არ გააჩერებენ დაზგებს და ჩააბარებენ ზუსტად გრაფიკის მიხედვით დამზადებულ პროდუქციას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს — ავტოსარემონტო ქარხნიდან: ქარხნის დირექტორმა ამხ. ლ. მეტრეველმა, პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. დოქსოპულომ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მერაბიშვილმა, საამქროს უფროსმა ამხ. გოგიშვილმა, ოსტატმა ამხ. კორკუსოვმა, სტახანოველებმა ამხ. ლაგრაძემ, საპოჟნიკოვმა, დუდნიკოვმა, დემურიამ და სხვ.; სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სახელით ხელი მოაწერეს: ქარხნის დირექტორმა ორდენოსანმა ამხ. დ. ჰეჟინაძემ, პარტკომის მდივანმა ამხ. ი. ნეფარიძემ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლოლაძემ, საამქროს უფროსმა ამხ. თევზაძემ, ოსტატებმა ამხ. მელიქ-ფაშაევმა და ზაქამ. სტახანოველებმა ამხ. ხაჯალიამ, პეტროსიანმა, ჯლანტიაშვილმა, და სხვ. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ავტოსარემონტო ქარხნიდან სულ 14 კაცმა, ხოლო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნიდან—15 კაცმა.

შეკრებამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

კოხორის საბჭოთა მეურნეობას გარდამავალი დროშა მიენიჭა

საქართველოს სსრ მიწსახკომმა, მიიღო რა მხედველობაში შემოწმების შედეგები და ლიმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს შორის 1941 წლის საწარმოო დავალებების საუკეთესოდ შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრების ჟიურის დასკვნა, დაადგინა: გადასცეს კოხორის საბჭოთა მეურნეობას საქართველოს სსრ მიწსახკომის რესპუბლიკური გარდამავალი დროშა.

კოხორის საბჭოთა მეურნეობამ მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა გეგმის გადამეტებით 700 ათასამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი, 20 პროც. შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცა 482 ათასი მან. მოგება. (საქდეკ).

გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ

მოქმედი არმია, 6 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, ფრონტის ერთ-ერთ უბანზე საბჭოთა ჯარებმა ადგილი გადმოინაცვლეს და ახალი პოზიციები დაიკავეს. ამ მანევრით ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა მხრივ ფლანგიდან დარტყმის საფრთხე, გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები და ჩაშალეს გერმანელთა სარდლობის ვარაუდი. წინწამოწევა ფაშისტებს კოლოსალური ზარალის ფასად დაუჯდათ. ფრონტის ხაზის გაღმიდან მოსული ცნობებით, გერმანიის ზურგში უკვე წავიდა 6 ეშელონი, რომლებიც დაჭრილებით გაჭედილი 247 ვაგონისაგან შესდგება.

სისხლისმღვრელი ბრძოლების განვლილ დღეებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის რამდენიმე ასი ტანკი, დახოცეს მრავალი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, მწყობრიდან გამოიყვანეს ასობით თვითმფრინავი და ქვემეხი. გერმანელთა თითოეული ნაბიჯი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებით არის მოფენილი. ახლა მედგარი ბრძოლა სწარმოებს წყლის ზღუდისათვის, რომელსაც ჩვენი ჯარები იცავენ. მტერი მთელ ძალებს ძაბავს, რათა წყლის ზღუდე გადმოლახოს. გერმანელებს ზედიზედ განუწყვეტლივ მოაქვთ იერიშები, მტრის ცალკეული მოძრავი ჯგუფები, რომლებიც ჩვენს ნაპირზე გამოიჭრნენ, მოსპობილ იქნენ.

ერთ-ერთი იერიშის დროს ჩვენმა მებრძოლებმა უკუაქციეს გერმანელთა პოლკი და ნაწილობრივ მოსპეს იგი. საბჭოთა ტანკისტები უეცრად ესხმიან თავს ფაშისტთა მანქანებს, რკინის სალტეებში აქცევენ მათ, სწყვეტენ ქვეითი ჯარისაგან და სპობენ. სისხლისმღვრელ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს წითელარმიელებმა გინზბურგმა, პოპოვმა, ტუზოვმა. ფაშისტებმა ქვეგანაყოფის ფლანგს ტანკების დიდი ჯგუფი მოუსიეს. მტრის მანქანებს გაბედულად შეხვდა ჯავშანმტვრეველთა გუნდი, რომელსაც წითელარმიელი გინზბურგი მეთაურობს. ჯავშანმტვრეველებმა ახლო მანძილზე მოუშვეს გერმანელთა ტანკები და მარჯვედ დაუშინეს ცეცხლი. პირველი ცეცხლგამჩენი ტყვია ფაშისტთა ტანკში გინზბურგმა ესროლა. ტანკი შეჩერდა და კვამლის ბოლქვებში გაეხვია. აქვე ზედიზედ მეორეს, მესამეს... გინზბურგის გუნდმა ასე ზედიზედ გამოიყვანა მწყობრიდან გერმანელთა 5 ტანკი. დანარჩენი მანქანები უკუიქცნენ.

ჰიტლერელებმა 95 სოფელი გადასწვეს

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი, 8 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ყოველდღე მოდის ცნობები ჰიტლერელთა ახალ-ახალი მხეცობის შესახებ.

ფაშისტური ტყვეობიდან გამოქცეულმა ნიკოლოზ დიმიტრიევმა განაცხადა, რომ ლენინგრადის ოლქის სოფელ კრუტეცში გერმანელებმა ყველა ქალი შეჰყარეს აბანოში და იქ დაჰკითხეს, თუ სად არიან პარტიზანები და სად არის დამალული პური. რუსი ქალები სდუმდნენ. ჰიტლერელები ულმობელად წკეპლავდნენ მათ. ზოგიერთი მათგანი ცემით მოჰკლეს. სხვა სოფელში ფაშისტმა ბანდიტებმა ჯერ აწამეს და შემდეგ ხელის ტყვიამფრქვევით დახვრიტეს 17 მოხუცი, ქალი და ბავშვი.

გერმანელებმა ერთი რაიონის ტერიტორიაზე გადასწვეს 95 სოფელი, მოსპეს 1.546 მეურნეობის ნაგებობანი და ქონება.

გერმანელთა მიერ საბჭოთა სამხედრო ტყვეების უმაგალითო ტანჯვა-წამების შესახებ გვიამბობს პორხოვის ბანაკიდან გამოქცეული ექიმი ლუკაგენკო. ამ ბანაკში ტყვეებს სრულიად უმიზეზოდ ხოცავენ. პატიმრებსა და პორხოვის მოსახლეობაში პარტახტიანი ტიფი მძვინვარებს.

ი. დენისოვი.

უკუვაგდებთ!

ჩვენი ხალხი გამოიწრთო ომის ერთი წლის განმავლობაში. მან გამოსცადა შემოდგომის უკანდახევის სიმწარე. მან განიცადა ზამთრის გამარჯვებათა სიამაყე. იგი მიხვდა, რომ გერმანელთა დამარცხება ადვილი არ არის, მაგრამ იგი მიხვდა, რომ გერმანელთა დამარცხება შესაძლებელია.

ჩვენ სამხედრო წარუმატებლობა განვიცადეთ: გერმანელთა ტანკები შუა რუსეთის გზებისაკენ გამოიჭრნენ. ჩვენს სამშობლოს კვლავ ჩამოაწვა შავი ღრუბელი. ხალხს, რომელმაც გამარჯვება გამოსცადა როსტოვთან, კალინინთან, მოჟაისკთან, არა სურს თავი ინუგეშოს ილუზიებით. იგი საფრთხეს ხედავს, მაგრამ ამბობს: უკუვაგდებთ!

საფრთხე დიდია. პური თავთავს ისხამს შავმიწადაგიანი მხარის უხვ ყანებში. ქალაქები, რომლებიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილი იყვნენ, დიდ სამრეწველო ცენტრებად იქცნენ, როგორც სასიცოცხლო არტერია, მაგისტრალი მოსკოვს აერთებს როსტოვთან, სამხრეთის ფრონტს—დასავლეთის ფრონტთან. მტერი გვემუქრება, რომ ჩახეთქავს პურს, ხელთ იგდებს ქარხნებს, გადასჭრის არტერიას.

გერმანელ ჯარისკაცებს გული მოეცათ: მათ წინ აქვთ გაუთელავი ყანები, გადაუბუგავი სოფლები, გაუძარცვავი ქალაქები. ვირთაგვები აღმოსავლეთისაკენ მიძვრებიან: აქ შიმშილი მოერევა მათ. გერმანელმა ტანკისტებმა უკვე მოამზადეს ტომრები საშოვრისათვის. გერმანელი ჯალათები უკვე აკეთებენ ახალ სახრჩობელებს.

ჩვენ უკუვაგდებთ გერმანელებს. ჩვენ უკუვაგდეთ ისინი შემოდგომის ყველაზე საშინელ თვეებში, როცა მტერი უფრო ძლიერი იყო. იგი წინ მოდიოდა დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებდა: მას ახსოვდა სედანი, დიუნკერკი, კრეტა. ახლა მტერი ის აღარ არის: მას შუბლზე აზის დეკემბრის განადგურების სამარცხვინო დაღი.

შარშან შემოდგომაზე ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდნენ ჰიტლერის კადრის დივიზიები, გერმანიის არმიის მშვენება, ახალგაზრდა ავაზაკები. ესენი რუსეთის მიწაში ჩალპნენ. ახლა ჩვენს წინააღმდეგ მოდიან ჭრელი დივიზიები, ორმოცწლიანები, მოზარდები, სხვადასხვა ტომის ლაქიები. ჩვენ ჰიტლერის საუკეთესო პოლკებს გავუძელით, ნუთუ მის ახალ ნაწილებს ვერ გავუძლებთ? არა, ჩვენი მებრძოლები გვარდიის დროშას არ შეარცხვენენ! არა, ჩვენი მებრძოლები არ შეაშფოთებენ იმ გმირთა სამარეს, რომლებმაც თავი დასდეს მოსკოვისათვის! ჩვენ უნდა გავაჩეროთ გერმანელები და გავაჩერებთ კიდევაც.

ჰიტლერს სურდა შემოეტია გაზაფხულზე. ხარკოვის მახლობლად მებრძოლნი გერმანელთა გეგმებში ჩაერივნენ. სევასტოპოლის დამცველებმა ხელიდან გამოსტაცეს ჰიტლერს ძვირფასი თვე—ივნისი. ჰიტლერმა თავისი გაზაფხულის ლაშქრობა ივლისში დაიწყო. მან გვიან დაიწყო. ჩვენ უნდა ვაიძულოთ იგი ადრე დაამთავროს. ჩვენ გერმანელები უნდა ულეგავდეთ!

ჰიტლერი ჩქარობს. ყოველდღე ჩადიან ინგლისში ამერიკელი ჯარისკაცები. მალე ზღვას გადმოლახავს მეორე ფრონტის არმია. შარშან შემოდგომაზე ჰიტლერი დამშვიდებული იყო: ინგლისი მაშინ ჯერ კიდევ ჭრილობებს იშუშებდა, ამერიკა მაშინ ჯერ კიდევ ნეიტრალური რჩებოდა. ახლა ჰიტლერის ზურგში საშინელი აჩრდილი დგას: ეს ჩვენი მოკავშირეების დივიზიებია; ისინი მზად არიან თავს დაატყდნენ გერმანელთა ზურგს. ჰერ ჰიტლერი ნერვიულობს. იგი თავის გენერლებს აჩქარებს: დაუჩქარეთ!

გერმანელებმა, სჩანს, დაივიწყეს როსტოვისა და კალინინის გაკვეთილები. უნდა მოვაგონოთ მათ. უნდა ვაჩვენოთ გერმანელ ბანდიტებს, თუ როგორ უნდა იბრუნონ პირი...

შარშან შემოდგომაზე ჩვენ გაცილებით ნაკლები გვქონდა ტანკები, ვიდრე გერმანელებს. მაშინ გერმანელი ბომბდამშენები თავხედურად სერავდნენ ჩვენს ცას. კაკანებდნენ გერმანელთა ავტომატები. ახლა ასე როდია. ცხადია, მტერმა ტანკები დააგროვა შემოსაჭრელად. მაგრამ განა ჩვენ კი ცოტა გვაქვს შესანიშნავი ტანკები? ჩვენი ჯავშანი გერმანელებისაზე უფრო მაგარია. მეგობრებო, მებრძოლნო! უჩვენეთ მტერს, რომ რუსს გერმანელზე უფრო მაგარი გული აქვს! ახლა ჩვენი ავიაგამანადგურებლები გერმანელებს ციდან ერეკებიან. ახლა ჩვენი ბომბდამშენები გერმანელთა ტანკებს სწვავენ. ახლა ჩვენ ბევრი ავტომატი, ჯავშანგამტანი თოფი და ნაღმსატყორცნი გვაქვს. ახლა ჩვენ მოვალენი ვართ უკუვაგდოთ გერმანელები. და ჩვენ მათ უკუვაგდებთ!

შარშან შემოდგომაზე ბევრმა მებრძოლმა არ იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ისინი ფიქრობდნენ — ჰიტლერელები ადამიანები არიანო. ახლა ვერავის ვერა ნახავ, რომ არ იცოდეს, თუ რას წარმოადგენს ჰიტლერელი. ჩვენ ვნახეთ ვოლოკოლამსკის სახრჩობელები. ჩვენ ვნახეთ ისტრის ნახანძრალი. ჩვენ ვნახეთ ძუძუებდაჭრილი ქალიშვილები და ნაჰერ-ნაჰერ დახერხილი ბავშვები.

კვლავ დადგა მრისხანე დღეები. ეს გერმანული ციებ-ცხელების დაბრუნებაა. მაგრამ მეორე შეტევა პირველზე უფრო სუსტია. ჩვენ პირველს გავუძელით. მეორესაც უნდა გავუძლოთ. თუ ჩვენს შორის ვინმე სულმოკლე არის, მას ვეტყვით: არ შეარცხვინო დედაშენი! ერთ მებრძოლს, რომელიც შეყოყმანდება, შეუძლია ასეული დაღუპოს. ერთ ასეულს, რომელიც შეფერხდება, შეუძლია პოლკი დაღუპოს. გერმანელი ხედავს, რომ მის წინ აღმართულია გაუვალი კედელი: ეს ჩვენი არმიაა. გერმანელი ამ კედელში სუსტ ადგილს ეძებს. მას უნდა გამოაღწიოს ამ კედელში. ჩვენ მას არ შემოვუშვებთ. ჩვენ მას გავაჩერებთ. ჩვენ მათ გავრეკავთ იმ ქალაქებიდან, რომლებიც მათ ამ დღეებში დაიკავეს და სადაც ხანძარი ჯერაც არ ჩამქრალა.

ყველა ფრონტზე მეხივით დაიჭექებს ფრთიანი სიტყვა: „მივეშველოთ!“ ბრძოლა დაიწყო არა ამა თუ იმ ქალაქისათვის, არამედ რუსეთისათვის. მის წინააღმდეგ თავისი საზიზღარი ხელი კვლავ აღმართა ჰიტლერმა. მეგობარო მებრძოლნო, თქვენ გერმანელები უკუაგდეთ დეკემბრის მძიმე დღეებში, როცა იგი მოსკოვის გარეუბნებს მოუახლოვდა. უკუაგდეთ იგი ახლა! გარეკეთ გერმანელები დონიდან! ბრძოლა ახლა ჩაღდება, და ქარიშხლიან ღამეში გვესმის:

— უკუვაგდებთ!

ილია ერენბურგი

„კრასნაია ზვეზდა“, 1942 წლის 8 ივლისი.

მოსპობილია მტრის ორი ასეული

დასავლეთის ფრონტი. 7 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). წინათ დაკარგული ხელსაყრელი ზღუდე რომ დაებრუნებინა, მოწინააღმდეგემ ფრონტის ერთ-ერთ უბანზე სცადა დაუფლებოდა ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჭალას. გერმანელთა 2 ბატალიონის იერიშმა მტერს წარმატება ვერ მისცა. ლეიტენანტ კულიჩენკოს და უმცროს ლეიტენანტ კუროჩკინის ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგე ახლო მანძილზე მოუშვეს და თოფ-ტყვიამფრქვევის შეწყობილი ცეცხლით და გრანატებით შეხვდნენ. გერმანელებმა, მიუხედავად მათი ძალების სამმაგი სიჭარბისა, ჩვენი თავდაცვის სისტემის გარღვევაც კი ვერ მოახერხეს.

ჰიტლერელებმა რეზერვები მოიშველიეს და კვლავ გადმოვიდნენ იერიშზე, რომელიც აგრეთვე მარცხით დამთავრდა. ჩვენი მეტყვიამფრქვევენი და ნაღმტყორცნელები გაბედულად გამოდიოდნენ წინ და ცეცხლს აჩაღებდნენ იქ, სადაც გერმანელები წინააღმდეგობას არ მოელოდნენ. მოწინააღმდეგე, რომელმაც 2 ასეულამდე დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით, უკუგდებულ იქნა.

პოლკის კომისარი
გ. ტოლოკოლნიკოვი

ბრძოლები ეგვიპტეში

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მე-8 არმიამ მრავალი ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო ინიციატივა და განუწყვეტელ ბრძოლებს ეწევა ელ-ალამეინის მახლობლად მდებარე პოზიციების დასავლეთით. ამ რაიონში მოწინააღმდეგის შემოჭრის ყველა ცდა ჩაშლილია. გერმანელთა ჯარებს ერთი წუთითაც არ აძლევენ მოსვენებას. ამ ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში მე-8 არმიამ საბოლოოდ გასწმინდა ელ-ალამეინის სამხრეთით მდებარე ნილოსის მთაგრეხილი და მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი დაიკავა მის სამხრეთ კიდურზე. მტრის პირველი გააფთრებული შემოჭრა აღმოსავლეთისაკენ, უეჭველია, შეჩერებულია, და იგი იძულებულია ნელ-ნელა უკან დაიხიოს დასავლეთისაკენ. ბრძოლა გრძელდება.

მე-8 არმიას განუწყვეტლივ მოსდის მაშველი ძალები.

ამერიკის ავიაცია თავს დაესხა იაპონიის ბაზებს ჩინეთში

ჩუნცინი, 6 ივლისი (საკდესი). ჩინეთში მოქმედი ამერიკელთა საჰაერო ძალების შტაბის ცნობით, ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს იაპონიის აეროდრომები ხანკოუში, კანტონსა და ნანჩანში.

ამერიკის ტანკების მონაწილეობა ლიბიის ბრძოლებში

ვაშინგტონი, 7 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს ცნობით, 11-12 ივნისს ამერიკის საშუალო ტანკები, რომლებზედაც ამერიკელთა ეკიპაჟები იყვნენ, მონაწილეობას იღებდნენ ლიბიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა ამერიკელ მეთვალყურეთა ჯგუფის ნაწილი; ეს მეთვალყურენი უკვე რამდენიმე კვირაა ჩრდილოეთ აფრიკაში იმყოფებიან. ამერიკის მანქანებმა მწყობრიდან გამოიყვანეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, თვითონ კი სერიოზულად არ დაზიანებულან.

ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლის დანიშვნა

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გენერალ-მაიორი სპაატსი დანიშნულია ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლად.

ინგლისის საზოგადო მოღვაწეთა პეტიცია ინდოეთთან მოლაპარაკების განახლებისათვის

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). პარლამენტის წევრ ლიბერალებისა და ლეიბორისტების ჯგუფმა და სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმა, მათ შორის პროფესორმა ლასკიმ და კენტერბერის ტაძრის წინამძღვარმა, პეტიციით მიმართეს მთავრობას განაახლოს მოლაპარაკება ინდოეთის პრობლემის გადასაწყვეტად. პეტიციაში ნათქვამია, რომ ახლანდელი მდგომარეობა, რომელშიც ინდოეთი აღმოჩნდა, საფრთხეს შეიცავს როგორც ინდოეთის დამოუკიდებლობის საქმისათვის, ისე გაერთიანებული ერების ბრძოლისათვისაც. პეტიციის ავტორები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიმართოს მეფის ნაცვლის საშუალებით ინდოეთის პოლიტიკურ მიმდინარეობათა ხელმძღვანელებს წინადადებით, რომ განიხილონ ინდოელთათვის ისეთი კონტროლის მინიჭების საკითხი, როგორიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ ინდოეთის დამოუკიდებლობის ინტერესებისათვის, აგრეთვე შეიტანოს გარკვეული წინადადებანი ეროვნული მთავრობის წევრთა შემადგენლობის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრის გამოსვლა ამერიკათშორის სასოფლო-სამეურნეო კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). ამერიკათშორისი სასოფლო-სამეურნეო კონფერენციის სხდომაზე, რომელიც 6 ივლისს გაიხსნა მექსიკოში, სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრმა ვიკარდმა. მან მოუწოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებს გაადიდონ კაუჩუკისა და ქინაქინის მოპოვება, აგრეთვე მცენარეული ზეთისა და სხვა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რომლებიც დღემდე უცხოეთიდან, უმთავრესად შორეული აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ. ვიკარდის სიტყვით, უკვე ხდება ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ომის ამოცანების შესაბამისად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაადიდეს ფრინველის მოშენება, რძის პროდუქტების, ღორის ხორცის და ზეთოვანი კულტურების წარმოება, ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობენ კაუჩუკის მოპოვების მოწყობას ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მათ შეისყიდეს ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის კაუჩუკის მთელი ის პროდუქცია, რომელიც საექსპორტოდ იყო განკუთვნილი, და ამ ქვეყნებში გაგზავნეს მეცნიერნი კაუჩუკისა და სხვა ტროპიკული პროდუქტების წარმოების მოწყობაში დახმარების გასაწევად.

გერმანიის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა შვეციის თევზსაჭერ გემს

სტოკჰოლმი, 8 ივლისი (საკდესი). როგორც შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ იუწყება, 4 ივლისს, ღამით, გერმანიის სამხედრო თვითმფრინავმა დაბომბა და დიდხანს უშენდა შვეციის გემ „ელზას“, რომელიც სკაგენის კონცხის დასავლეთით იყო გასული თევზის საჭერად. გემის ეკიპაჟის შემადგენლობიდან ერთი კაცი მძიმედ დასჭრა ყუმბარის ნამსხვრევმა. გამორკვეულია, რომ „ელზა“ გერმანელთა მიერ ნაკრძალად გამოცხადებული ზონის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა და და რომ სროლისათვის არავითარი საფუძველი არ იყო.

ანტიფაშისტური ბრძოლა იტალიაში

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). ამერიკის პრესის ცნობით იტალიაში რამდენიმე ანტიფაშისტური ორგანიზაცია არსებობს. აქ რეგულარულად გამოდის ორი არალეგალური გაზეთი.

დღითიდღე ხშირდება საბოტაჟის აქტები სამხედრო მნიშვნელობის ფაბრიკა-ქარხნებში. ამას წინათ ასტის მანქანათმშენებელ ქარხანაში ვიღაცამ ელექტროკაბელი დაახია და მთელი მუშაობა შესწყდა. პადუაში ხანძარმა გაანადგურა 2 ქარხანა. ნეაპოლის დოკებში 2 საესკადრო ნაღმოსანი დაზიანეს. ფიატის ქარხნებში ყოველთვიურად დამზადებული მოტორების მეათედი ნაწილი წუნს წარმოადგენს.

იტალიური პრესაც კი ვერა მალავს იმ ფაქტს, რომ იტალიის მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს ფაშისტების სამხედრო ღონისძიებებს. „ჯაძეტა დელ პოპოლო“, რომელიც ტურინში გამოდის, ამას წინათ იუწყებოდა, რომ ქალაქ ბარში ერთ-ერთი იმ პურის საცხობის მუშათა ჯგუფმა, რომელიც პურს აწვდის სამხედრო ნაწილებს, განზრახ გააფუჭა ფქვილის მნიშვნელოვანი მარაგი.

იტალიელი გლეხები შლიან ჰიტლერის არმიისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების საქმეს, ზოგიერთ სოფელ ადგილას ამ ცოტა ხნის წინათ აჯანყება მოხდა შიმშილის ნიადაგზე.

ლავალი ჰიტლერელებს ეხმარება საფრანგეთის ძარცვაში

ლონდონი, 8 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ამას წინათ ვიშში განიხილეს გერმანიის მოთხოვნა საფრანგეთში დიდძალი ორთქლმავლის, საქონლის ვაგონების, რელსებისა და რკინიგზის სხვა მასალების, საბარგულებისა და ავტობუსების დაუყოვნებლივი რეკვიზიციის შესახებ. ლავალის მთავრობამ დაადგინა წინასწარ მისცეს ჰიტლერელებს საფრანგეთის ათასამდე ორთქლმავალი, 40 ათასი ვაგონი, 35 ათასი საბარგულო და რამდენიმე ათასი კილომეტრი რელსი. ამ რელსებს საფრანგეთის რკინიგზის ხაზებს მოხსნიან.

ფაშისტ ოკუპანტთა მხეცობა

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ჰაიდრიხის მოკვლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში სიკვდილით დასაჯეს 10.000 ჩეხი. ამის მიუხედავად, ანტიგერმანული საბოტაჟი განუწყვეტლივ ძლიერდება. ჩეხი პარტიზანები ტყეებიდან მოქმედებენ პრაღის მახლობლად.

იუგოსლავიაში იტალიელებმა პარტიზანთა მოქმედებისათვის რეპრესიის სახით სიკვდილით დასაჯეს 800 ხორვატი და სლოვენი გლეხი და 6 სოფელი გაანადგურეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ქალაქ ფიუმეს მახლობლად. სპლიტის მახლობლად ოკუპანტებმა 20 სახლი დასწვეს და სიკვდილით დასაჯეს 12 კაცი.

ჰიტლერელები ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობას იძულებით აგროვებინებენ რკინეულის ჯართს

ნიუ-იორკი, 6 ივლისი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტოს ცნობით, ჰიტლერელთა ხელისუფალნი ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობას იძულებით აგროვებინებენ რკინეულის ჯართს. პოლონეთში თითოეული ქალაქისა და სოფლისათვის დაწესებულია ჯართის ჩაბარების განსაზღვრული ნორმა. სადაც მოსახლეობა ვერ ასრულებს ამ ნორმას, იქ ჰიტლერელები ლითონის მისაღებად სახლებსა და სხვა შენობებს ანგრევენ და ხსნიან მილებს, კლიტეებს და სხვ.

უკანასკნელი ცნობები

გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რეფიკ საიდამი

ანკარა, 8 ივლისი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ 7 ივლისს ღამით გარდაიცვალა თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რეფიკ საიდამი. სიკვდილი გამოიწვია სისხლძარღვების ტრომბოზმა (დაცობამ).

* * *

საიდამი დაიბადა 1881 წელს სტამბოლში. სპეციალობით იგი თერაპევტი ექიმი იყო. სამედიცინო განათლება საზღვარგარეთ მიიღო. 1914-18 წლის ომამდე მას აღმოსავლეთის არმიის სანიტარული ინსპექტორის თანამდებობა ეკავა, ომის დროს და შემდეგ ექიმად მუშაობდა.

1929 წელს საიდამი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშნეს და ეს თანამდებობა ეკავა რამდენიმე კაბინეტში. ჯელალ ბაიარის კაბინეტში საიდამი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. პრემიერ-მინისტრის პოსტზე საიდამი 1939 წლის იანვარში დაინიშნა.

თურქეთის ნაციონალური მოძრაობის მოღვაწე საიდამი მეჯლისის დეპუტატი იყო პირველი მისი მოწვევიდან. ამას გარდა, იგი იყო ანკარაში არსებული თურქეთის სამეცნიერო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე.

თურქეთის დროებით პრემიერ-მინისტრად ტუზერი დაინიშნა

ანკარა, 8 ივლისი (საკდესი). როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით აღმსრულებლად დანიშნულია ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ახმედ ფიკრი ტუზერი. 1939 წლიდან 1942 წლის მაისამდე ტუზერი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი იყო. 1942 წლის მაისში ტუზერი შეყვანილ იქნა კაბინეტის შემადგენლობაში შინაგან საქმეთა მინისტრად.

ჰიტლერის ავიაციის ბარბაროსული მოქმედება ეგვიპტეში

ნიუ-იორკი, 8 ივლისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკელი მედიცინის მუშაკები აღნიშნავენ, რომ წარსულ კვირაში გერმანელთა თვითმფრინავებმა, რომლებიც განუწყვეტლივ პიკირებდნენ, წითელი ჯვრის საზიდრები დაბომბეს ელ-ალამეინისაკენ ინგლისელთა უკანდახევის დროს.

„სამშობლო“ ქუთაისის თეატრის სცენაზე. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ ზედა რიგში მსახ. ვ. მეგრელიშვილი (ლევან ხიმშიაშვილი), თ. ღვინიაშვილი (ქეთევანი), ვ. ჩხიკვაძე (გოგია დიაკვანი); ქვედა რიგში—შ. პირველი (შაჰაბასი), მ. გელაშვილი (ფაიხოში), გ. ნაცვლიშვილი (დიმიტრი დადიანი).

„სამშობლო“ ქუთაისის თეატრში

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრმა სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს უჩვენა დ. ერისთავის ისტორიული პიესა „სამშობლო“. დავით ერისთავმა ეს დრამატიული ნაწარმოები გადმოაქართულა, გადმოაკეთა სარდუს პიესიდან „ფლანდრია“, შეუხამა იგი XVII საუკუნის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებას, აამეტყველა ქართველი გმირები, რომლებიც თავდადებულად იბრძვიან უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოს სახელის, ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში ამ პიესას კიდევ უფრო დიდი ემოციური ძალა აქვს. საბჭოთა მაყურებელი სცენიდან ისმენს მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის თავდადებულ გმირთა ურყევ გადაწყვეტილებას საკუთარი სიცოცხლეც კი მსხვერპლად შესწირონ ვერაგი მტრის საბოლოოდ მოსპობას. ყოველივე ეს ღრმად სწვდება მის გულს, კიდევ უფრო ძლიერს და გარდუვალს ხდის მისწრაფებას—რადაც უნდა დაუჯდეს აღგავოს პირისაგან მიწისა კაცობრიობის საშინელი მტერი—გერმანიის ფაშიზმი.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის სვიმონ ლიონიძის სიტყვები, მიმართული ლევან ხიმშიაშვილისადმი—„დაჰკარ ლევან, მით სამშობლოს იხსნი!“—დარბაზში მძლავრ მოწოდებად გაისმის.

„სამშობლოს“ მეორე თემატიკური ხაზი სვიმონ ლიონიძის ოჯახური დრამაა. იგი ავტორის მიერ გამოყენებულია ფონად, რომელზეც იშლება მოქმედ პირთა ხასიათები და ფსიქიური განწყობილებანი, მათი პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინაშე. აქ ხდება დაპირისპირება კერძო, პირადული ელემენტებისა საზოგადოებრივ მოვალეობებთან და ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოდის მოვალეობას შეგნება საერთო-საქვეყნო საქმის წინაშე.

პიესაში დასმული პრობლემების მხატვრული გადაწყვეტა თეატრის მიერ მიზანშეწონილი და სავსებით გამართლებულია. სპექტაკლის ავტორებმა (დამდგმელი საქ. სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე, მხატვარი ირ. იაქაშვილი, კომპოზიტორი საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ვახვახიშვილი) წინა პლანზე წამოსწიეს ნაწარმოების პატრიოტული მოტივები, მოქმედების ცენტრში დააყენეს ჰეროიკული რომანტიკა, სამშობლოსათვის უანგარო თავდადების მაღალი შეგნება. ამ ჯანსაღი ემოციებით არის აღსავსე ეს საინტერესო სანახაობა, რომელიც „სამშობლოს“ დადგმით შექმნა ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა.

სპექტაკლში მთელი რიგი სცენები ოსტატურად არის გაკეთებული, როგორც, მაგალითად, ლევან ხიმშიაშვილის შეხვედრა შაჰაბასთან, სვიმონისა და ქეთევანის დიალოგი მეორე მოქმედებაში და უკანასკნელი მოქმედების უკანასკნელი სურათი. მით უმეტეს დასანანებელია, რომ მხატვრული გემოვნებით ამ კარგად შესრულებული სცენების გვერდით არის რამდენიმე საგრძნობი ხარვეზი. ეს ითქმის მეტეხის მთავარ დარბაზში გათამაშებული შეფიცვის სცენისა და მეხუთე მოქმედების პირველი სურათის შესახებ, რომელთაც უფერულობის იერი აჩნევიათ. მკრთალად ჩატარდა ისეთი დაძაბული და ჟრუანტელის მომგვრელი სცენა, როგორიცაა ქართველ შეთქმულთა მუდარა გოგია დიაკვანისადმი, რათა მან არ დარეკოს ზარი, რომ დავით ბატონიშვილი თავისი ჯარით თბილისში არ შემოვიდეს და ხელთ არ ჩაუვარდეს გამძვინვარებულ შაჰაბასს.

აქტიორული შესრულების მხრივ თეატრის კოლექტივს გარკვეული წარმატებებისათვის მიუღწევია. პიესაში განსაკუთრებით რელიეფური და წამყვანი სამი უმთავრესი პერსონაჟია: სვიმონ ლიონიძე, ქეთევანი და ლევან ხიმშიაშვილი.

ლიონიძის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანდრო მურუსიძე. სვიმონი ხორცშესხმული სისპეტაკეა. იგი სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ გმირთა განსახიერებაა. გმირის ეს თვისებები კარგად აქვს შეგნებული მსახიობს. მან ძირითადში სწორად წარმართა თავისი როლი, მთელი რიგი ადგილები ძლიერი ტონით წაიყვანა და სასურველ ეფექტსაც მიაღწია.

უდავოდ კარგი სახე შექმნა თინა ღვინიაშვილმა ქეთევანის როლის შესრულებით. მან დამაჯერებლად განასახიერა მამაკაცისადმი ძლიერი სიყვარულით დაბრმავებული, ხორციელი ჟინით გონებაარეული ქალი, რომელიც ყველაფერს უარჰყოფს—ცოლის მოვალეობასაც, მოქალაქეობრივ ღირსებასაც, ოღონდ კი ცოცხალი გადარჩეს და განმარტოებით იცხოვროს თავის საყვარელთან — ლევან ხიმშიაშვილთან.

სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლის ტიპი საინტერესოდ წარმოგვიდგინა ახალგაზრდა მსახიობმა ვ. მეგრელიშვილმა ლევან ხიმშიაშვილის როლში. მისი თამაში ბუნებრივი და დამაჯერებელია.

ძლიერად მიჰყავს შაჰაბასის როლი მსახიობ შ. პირველს.

ასევე შეიძლება ითქვას მსახიობ მ. გელაშვილის შესახებაც, რომელიც დაკვირვებულად და ნიჭიერად ასრულებს ფაიხოშის როლს.

თავიანთი ოსტატობა კვლავ გვიჩვენეს საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ც. ამირეჯიბმა (დედოკაცი) და ვ. ჩხიკვაძემ (გოგია დიაკვანი) ეპიზოდური როლების შესრულებით.

სპექტაკლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ მხატვარ ირაკლი იაქაშვილის დეკორატიული გაფორმება და მუსიკა, რომელიც დასწერა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა თ. ვახვახიშვილმა. განსაკუთრებით კარგად არის შესრულებული მხატვრის მიერ შაჰაბასის დარბაზისა და სვიმონ ლიონიძის ბინის დეკორაციები.

„სამშობლო“ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში წარმოადგენს თვალსაჩინო მიღწევას. ეს არის პატრიოტული სპექტაკლი, რომელიც კიდევ უფრო აღვივებს საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას და გურაზმავს ვერაგი მტრის განადგურებისათვის საბრძოლველად.

პ. ბახტურიძე

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი

ახალგაზრდა პატრიოტებო, შევკრიბოთ სამკურნალო მცენარეები!

საქართველოს მთა და ბარი მდიდარია ტყეები და სამკურნალო მცენარეებით. მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის ჩვენ გვჭირდება რაც შეიძლება მეტი საკვები პროდუქტები, სამკურნალო და საწამლო ნივთიერებანი, ტექნიკური პროდუქტები. ყოველივე ეს კი ჩვენში ბლომად მოიპოვება, ამასთან ერთად საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ ის დოვლათი და დიდი მარაგი, რომელსაც ჩვენი ბუნება უხვად იძლევა.

სამკურნალო მცენარეების შეკრებას ამჟამად, დიდი სამამულო ომის ვითარებაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ზედმეტი კილოგრამის მოგროვება შეგვინარჩუნებს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლის სიცოცხლეს.

ამიტომ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგია უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი სამკურნალო მცენარე შევაგროვოთ. მაშინ, როდესაც ტყეებში ვიქნებით, როდესაც ბუჩქნართა შორის დავეძებთ სამკურნალო მცენარეს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი კარგი სამშობლო, რომელსაც თავს დაესხნენ მტერთა ურდოები, და რომელსაც იცავს ჩვენი მებრძოლი. ყოველი შეგროვილი კილოგრამი სამკურნალო მცენარე მტრის მკერდში ჩაცემული მახვილი იქნება.

სამკურნალო მცენარე უეჭველად უნდა შეგროვდეს მშრალ და მზიან ამინდში. სველი მცენარე თავის თვისებებს ჰკარგავს, გვიან და ცუდად შრება, შავდება. შეგროვილი მასალა უნდა თხლად გაიშალოს სუფთა საფენზე, ჩრდილოში, მაგალითად ჭერხოზე, დახურულ სხვენში. მზეზე გაშრობა არ შეიძლება. ამ დროსაც ფუჭდება მასალა. მზის სხივების ზეგავლენით სამკურნალო ნივთიერებანი გარდაიქმნებიან და სასარგებლო თვისებებს ჰკარგავენ, მასალას საჭირო ღირსება მთლიანად ეკლდება. თუ სამკურნალო მცენარის ფოთლის შეგროვებაა საჭირო, მაშინ მხოლოდ ფოთოლი უნდა იქნეს შეგროვილი და მასში სხვა რამ ნაწილი მცენარისა აღარ უნდა შევურიოთ, არ უნდა შეერიოს მიწის გოროხებიც და სხვა ნივთიერებანი. თუ ყვავილია შესაკრები, მხოლოდ ყვავილი და ფრიად სუფთად უნდა შეიკრიბოს, თუ ნაყოფი ან თესლია შესაკრები, მხოლოდ იგი უნდა შეიკრიბოს. საერთოდ შეკრების დროს საჭიროა მეტისმეტი სიფაქიზე, სისუფთავე.

შმაგა (ეძახიან აგრეთვე გიჟანას, ძაღლყურძენასაც) ძვირფასი სამკურნალო მცენარეა, რომელიც დიდი რაოდენობით გვხვდება ჩვენს ტყეებში, განსაკუთრებით წიფლნარებში, რცხილნარებსა და წიწვიანებშიც, სადაც იგი იზრდება ნახანძრევებზე და მეჩხერ ადგილებზე. სამკურნალოდ უმთავრესად ჰკრეფენ ფოთლებს, რომლებიც დალაქავებული არ უნდა იყოს. კრეფა იწყება მაისიდან და გრძელდება სანამ მცენარე შეფოთლილია. ფოთოლი ჩრდილში, სუფთა და მშრალ ადგილას უნდა გაშრეს. ნაყოფი კი უნდა შეიკრიბოს მწიფე, მაშინ, როდესაც იგი ადვილად სცილდება ყუნწს. შეკრებილი ნაყოფი უნდა დაიჭყლიტოს და წყლით გასცილდეს თესლს. თესლი უნდა გაშრეს სუფთა ადგილას. შმაგა შხამიანია და ამიტომ მისმა მკრეფავმა ხელი პირში არ უნდა ჩაიდოს, არც სახეზე არ მოისვას. სამუშაოს მოთავების შემდეგ ხელი კარგად უნდა დაიბანოთ.

ფუტკარა (სათითურა, დაჭრილის წამალი) იზრდება აგრეთვე ჩვენს ტყეების გავრცელების არეში, უმთავრესად ტყის პირებზე, ტყის მდელოებზე. იგი ფრიად ძვირფასი სამკურნალო მცენარეა, მისი ფოთლებიდან იღებენ ისეთ ძვირფას პრეპარატს, როგორიცაა ნეოდიგალენი. სამკურნალო ნივთიერების მისაღებად უნდა შეიკრიბოს ქვედა ფოთლები, რომლებიც უნდა გაშრეს სუფთა, მშრალ და ჩრდილიან ადგილას.

კატაბალახას (გულბანდი, კატაპარია) ფესურებისაგან და ფესვებისაგან იღებენ ნივთიერებას, რომლისაგანაც ამზადებენ წამალს (ვალერიანის წვეთებს) გულის დაავადების წინააღმდეგ. იგი იზრდება ჩვენს ვაკისა და მთის ფერდობების ბუჩქნარებში (ძეძვიანებში, ჯაგრცხილნარებში, მუხის ბუჩქნარებში). სამკურნალო ნივთიერების მისაღებად იყენებენ მიწის ქვეშა ნაწილებს, ფესვებს და ფესურას, რომელიც ბარით ან წერაქვით უნდა ამოიღოთ. მიწისაგან უნდა გასუფთავდეს და გაირეცხოს, უნდა გამოშრეს მშრალ, სუფთა ჩრდილიან ადგილს, ხოლო იქ, სადაც კატა ვერ მიაწვდება, თორემ იგი მისი დიდი მტერია, სჭამს. კარგია ძაფზე აისხას და სხვენში დაკიდული გაშრეს. უნდა შეგროვდეს აგვისტო-სექტემბერში, შეიძლება ივლისშიც.

გუგულის კაბა, ხალეპი, იზრდება ნესტიან მდელოებზე. მის მიწის ქვეშა ამსხვილებელ ნაწილებისგან ამზადებენ სამკურნალო ნივთიერებას, რომელსაც კუჭნაწლავის დაავადების წინააღმდეგ იყენებენ. ამ მცენარის გამსხვილებელი მიწისქვეშა ნაწილი, რომელსაც ზოგან „კაცისფეხსაც“ უწოდებენ, წერაქვით ან ბარულით უნდა ამოითხაროს, გასუფთავდეს, გაირეცხოს, ძაფზე აისხას და ჩრდილში გაშრეს.

ლემა ჩვეულებრივია ბაღ-ვენახებში, ბოსტნებში, განსაკუთრებით სარეველიან ადგილებზე. მისი ცნობა ადვილია დიდი თეთრი ყვავილებით (გრამოფონის მილის მსგავსი). უნდა შეგროვდეს მისი ფოთლები და თესლი. ფოთლის მოგროვება შეიძლება მთელი ზაფხულის განმავლობაში. ნაყოფი და თესლი კი მაშინ, როდესაც მომწიფდება. ნაყოფი უნდა მოგროვდეს მაშინ, როდესაც მისი ეკლიანი კოლოფი ოდნავ გადიხსნება. ასეთი კოლოფი უნდა გამოაშროთ ჩრდილში და შემდეგ გადაარჩიოთ თესლი ჩენჩოსაგან. თესლი უნდა შეინახოთ სუფთა პარკებში. ფოთოლი ჩრდილში შრება.

ასკილი (გარეული ვარდი, ეშმაკის მათრახი). ასკილის ნაყოფი ერთი უმდიდრესი ნაყოფთაგანია ვიტამინებით, განსაკუთრებით ბევრია მასში ვიტამინი „ცე“. იკრიბება მაშინ, როდესაც ნაყოფი სრულიად მწიფეა (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი). მწიფე ნაყოფი სწრაფად უნდა გააშროთ ღუმელში, ისე კი რომ არ გადიბრაკოს, და შემდეგ ამისა შეინახოთ სუფთა და მშრალ ადგილას.

მოცვი ჩვენი წიფლნარების დამახასიათებელი მცენარეა, უფრო მრავლად იზრდება დასავლეთ საქართველოში. მისი ფოთლებისაგან ჩაის სუროგატსაც კი ამზადებენ, მაგრამ ძვირფასი სამკურნალო თვისებების შემცველია მისი ნაყოფი. მომწიფების დროს უნდა მოიკრიფოს და გაშრეს სუფთა, მშრალ ჩრდილიან ადგილში. ჩაბარებამდე ასეთსავე ადგილას შენახულ უნდა იქნას სუფთა პარკებში.

წითელი გვირილა (მთის გვირილა) გავრცელებულია მაღალ მთის მდელოებზე. საქართველოში ჩვეულებრივად გვხვდება 1.600 მ.—2.500 მ. სიმაღლემდე. მისი წითელი ყვავილებით შემკული კალათა შეიცავს ნივთიერებას, რომელიც მავნე მწერების წინააღმდეგ იხმარება. უნდა შეიკრიბოს ახლად გაშლილი კალათა და გაშრეს ჩრდილში, მშრალ და სუფთა ადგილას.

შხამა (აპუტარაკი) მთის მდელოების აპეზარი სარეველი მცენარეა. შეიცავს შხამს, რომლისგანაც ამზადებენ სამკურნალო პრეპარატებს სხვადასხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. ეს ნივთიერებანი დიდი რაოდენობით არის მიწისქვეშა ნაწილებში, ფესვებსა და ფესურებში. მოთხრილი მიწისქვეშა ნაწილი (ბარით, წერაქვით) უნდა გასუფთავდეს, გაირეცხოს და გაიშალოს მშრალ, სუფთა ადგილას, ჩრდილში, ერთ ფენად. ხმება დიდხანს. მუშაობის შემდეგ ხელები სუფთად უნდა დაიბანოთ, რადგან მცენარე შხამიანია.

კიდევ მრავლის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

ჩვენი მთა-ბარი მდიდარია სამკურნალო და სხვა ძვირფასი მცენარეებით. ისინი სასწრაფოდ და ამავე დროს რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ.

სჯობია კრეფისათვის შევადგინოთ პატარ-პატარა ბრიგადები და ერთად, კოლექტიურად აგროვოთ. ეს აადვილებს მუშაობას, მეტ ხალისს აძლევს. ერთმანეთში სოცშეჯიბრება უნდა გამართოთ.

ყოველ ისეთი საკითხის შესახებ, რაშიც ვერ ერკვევით, უნდა მიმართოთ სპეციალისტებს, რომლებიც რაიონებში არიან (აფთიაქის გამგე, მიწების გამგე, აგრონომი და სხვ.), თუ იქაც ვერ მიიღეთ პასუხი, მოიწერეთ თბილისში, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. პასუხს სწრაფად მიიღებთ.

არ დაივიწყოთ, რომ თქვენი ერთგული მუშაობა დააჩქარებს წყეული მტრის განადგურებას.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის პლენუმი

10 ივლისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში მოწვეულია **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი** შემდეგი დღისწესრიგით:

1. პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი კიროვის რაიონის საწარმოებში (მომხსენებელი — რაიკომის მდივანი ამხ. კ. ხოშტარია).
2. კიროვის რაიპარტორგანიზაციაში 1942 წლის 1 თებერვლიდან 1 ივლისამდე პარტიაში მიღებისათვის ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ (მომხსენებელი — რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. კუნიცკი).

პროპაგანდისტთა სემინარი

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის (ოქტომბრის შემდგომი პერიოდი) შემსწავლელ **პროპაგანდისტთა სემინარის** მორიგი მეცადინეობა.

პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და **დამკვრელი** (საზაფხულო) — „მეზღვაურის ქალიშვილი“, **დამკვრელი** (ზამთრის) და **ლუქსემბურგის სახ.** — „ქალიშვილს პაემანზე მეეჩქარება“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დიდი ვალსი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ექიმი კალიუჟნი“, **სპარტაკი** — „მელორე“, **კომინტერნი** — „ალექსანდრე ნეველი“.

ლექცია

10 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **დუბროვსკის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„მებრძოლი პანგერმანიზმი და თანამედროვე გერმანული ფაშიზმი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დღის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

სახოპერა — 9 ივლისს — **„ჰოფმანის ზღაპრები“**, 10 ივლისს — **„რაზილი“**. **მარჯანიშვილის სახელობის** — 9 ივლისს — **„ხანუმა“**, 10 ივლისს — **„გრიგალი“**. **მუსიკალური კომედიის** — 9 ივლისს — **„ხილვა“**. 10 ივლისს—**„ცისფერი კლდეები“**. **სანკულტურის**—9 ივლისს—**„გმირი“**, 11 ივლისს —**„გაგრძელება იქნება“**. **საქ. სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ბაღი** — 9 ივლისს დახურულ დარბაზში — ქართული ჯაზი, ღია ესტრადა — სომხეთის ფილარმონიის ორდენოსანი მსახიობის შოღიკ მკრტიჩიანის გასტროლები. **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე ევროპული ცეკვები, ჯაზი, სასულე ორკესტრი, საცირკო ატრაქციონი „ხამი ხკლოფი“ და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლები იუწყებიან თინა ყრუაშვილის ძმის

ვლადიმერ მაკარის-ძე ყრუაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხოტევში (ამბროლაურის რაიონი).

საქ. განსახკომის თანამშრომლები იუწყებიან მარიამ მაღრაძის დედის

მაშიკო მაღრაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 9/VII, 6 ს. კოცირიძის ქ. № 9, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 847

საქსარეწტყეკავშირის სისტემის ბრთელ „ხის მრეწველობის“ გამგეობა იუწყება ნიკო მაჭავარიანის მეუღლის

ნადია მაჭავარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VII, თელავში. 851

„თბილრაიტრანსტორგპიტის“ კოლექტივი იუწყება, რომ 12/VII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ონოფრე პლატონის-ძე მგალობლიშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 850

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კანისა და ვენერულ სნეულებათა კლინიკა იუწყება ასისტენტ კონსტანტინე მაღრაძის დედის

მაშო მაღრაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 9/VII, 6 ს. გოცირიძის ქ. № 9. 848

თბილისის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და მოსწავლეები იუწყებიან, რომ 12/VII, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მასწავლებელ

ისიდორე ქუჩუკ-ძე პერტიას

სამოქ. პანაშვიდი. 849

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები და მუსიკალური ათწლედის მოწაფეები პროფესორ ი. ს. აისბერგის კლასისა იუწყებიან პროფესორ

ილია სიმონის-ძე აისბერგის

გარდაცვალებას. გამოსვენება 9/VII, 5½ ს. სახკონსერვატორიის დარბაზიდან გრიბოედოვის ქ. № 8. 852

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5970